

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი  
N(n)lp Parking Management Center of Ozurgeti Municipality

საქართველო, ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქ. N 1 ტელ: (599) 26 76 33;  
Merab kostava st. 1, Ozeurgeti, GEORGIA, Tel: (577) 26 76 33

N\_06\_

\_13/\_02/\_2020 წ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს  
ბატონ კონსტანტინე შარაშანიძეს


ბატონო კონსტანტინე

გიგზავნით ა(ა).იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“ის  
მიერ 2019 წელს განხორციელებულის საქმიანობია ამსახველ ანგარიშს.

ა(ა).იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი დაფუძნდა  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N 78 განკარგულებისა  
და 2018 წლის 11 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტრნის მერის N5778 ბრძანების  
შესაბამისად.

ოზურგეთის მუნიციპალიტრტის მერის 2018 წლის 10 დრკემბრის N 6201 ბრძანებით  
განისაზღვრა ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სატრანსპორტო  
საშუალებების პარკირების ადგილები

1. ჭანტურიას ქუჩა
  - ა) ჭავჭავაძის ქუჩიდან (გმირთა მოედანი) რამიშვილის ქუჩის კვეთამდე;
  - ბ) გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის კვეთიდან გურიის ქუჩის დასაწყისამდე;
2. გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა
  - ა) ჭანტურიას ქუჩიდან 26 მაისის ქუჩის კვეთამდე;
  - ბ) 9 აპრილის ქუჩიდან გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩამდე (რესტორანი არგო);
3. გურიის ქუჩა
  - ა) ჭანტურიას ქუჩის დასაწყისიდან ერისთავის ქუჩის კვეთამდე;
  - ბ) ერისთავის ქუჩის კვეთიდან ნ. ნიკოლაძის ქუჩის კვეთამდე;
4. აპოლონ წულაშის ქუჩა
  - ა) ავტოსადგურის კვეთიდან გმირთა მოედნის კვეთამდე;
5. ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა
  - ა) პირველი ჩიხი (აგრარული ბაზრის უკან არსებული ტერიტორია)
6. იოანე ჰეტრიჩის ქუჩა
  - ა) 9 აპრილის ქუჩიდან გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის კვეთამდე;
  - ბ) გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის კვეთიდან რამიშვილის ქუჩის კვეთამდე;



ამავე ბრძანებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრს დაგვევალა პარკირების ადგილების სათანადო წესით მოწესრიგება და მართვა.

პარკირების მართვის ცენტრს დაუდგინდა 5 საშტატო ერთეული: დირექტორი, ბუალტერი, მონიტორინგის სამსახურის უფროსი, მონიტორინგის სამსახურის ინსპექტორი და ოპერატორთა ჯგუფის უფროსი. მათი ყოველთვიური სახელფასო განაკვეთი შეადგინს 4350 ლარს. ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული დამლაგებელთან, რომლის ხელფასიც განსაზღვრულია 60 ლარის ოდენობით თვეში. საპარკინგე ადგილები განსაზღვრულია 18 ლოკაციით, სადაც დასაქმებულია 32 ოპერატორი. რომელთა ხელფასი განსაზღვრულია ქვითრების რეალიზაციიდან მობილიზებული თანხის 40 %-ის ოდენობით.

2019 წელს ავტოტრანსპორტის პარკირებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 80700 ლარი. ხელფასის სახით გაცემულია 62320. გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 15580 ლარი. ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისა სჭირო დანახარჯებმა (პარკირების ვითრების ბეჭდვა; ინტერნეტი; საკანცელარიო ხარჯები და ა.შ.) შეადგინა 2800 ლარი.

2019 წლის იანვრიდან დავიწყეთ პარკირების ადგილებისა და ზონების ინვენტარიზაცია, რაც მიზნად ისახავდა საპარკინგე ადგილების რაოდენობის დადგენას და ოზურგეთის საკრებულოს 218 წლის 1 აგვისტოს N41 დადგენილების შესაბამისად საპარკინგე ზონების განსაზღვრას. ინვენტარიზაცია ტარდებოდა და ტარდება პერიოდულად დროის სხვადასხვა მონაკვეთში, შედეგები აისახება საპარკინგე ადგილების ინვენტარიზაციის აქტში.

ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ საპარკინგე ადგილების რაოდენობა შეადგინს 250 ერთეულს. ყველა საპარკინგე ადგილი დატვირთვის შესაბამისად განეკუთვნება „B“ კატეგორიას, ყვითელ ზონას. გაბრიელ ეპირკოპოსის ქუჩაზე (რესტორან არგოს მიმდებარე ტერიტორიაზე)

2019 წელს გაგრძელდა საპარკინგე ადგილების მოწესრიგება. ჩვენს მართვაში არსებულ ყველა საპარკიგე ლოკაციაზე დაიდგა ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების, პარკირების წესის განმსაზღვრელი და ფასიანი პარკინგის მაჩვენებელი საგზაო ნიშნები. გაკეთდა (დაიხაზა) საპარკინგე ადგილების საგზაო მონიშვნები. დარჩენილია გურიის ქუჩის მცირე მონაკვეთი. ათვისებული და მოწესრიგებული იქნა ახალი საპარკინგე ადგილები გამზირებული ეპირკოპოსის ქუჩაზე („თიბისი ბანკი“სა და „ლიბერთი ბანკი“ს მიმდებარე ტერიტორია).

დაგემილი გვაქვს უახლოეს მომავალში იოანე პეტრიწის ქუჩაზე (იუსტიციის სახლისა და ჭადრების ბალის მიმდებარე ტერიტორია) ავითვისოთ და მოვაწესრიგოთ ახალი საპარკინგე ადგილები. პარალელურ რეჟიმში გავაგრძელებთ ქალაქში არსებული საპარკინგე ადგილების საგზაო მონიშვნასთან (დახაზვასთან) დაკავშირებულ სამუშაოებს.

პარკირების ცენტრის საქმიანობის დაწყების პირველ ეტაპზე ხშირად ჩნდებოდა კომფლიქტური სიტუაციები ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებსა და ოპერატორებს შორის, რომლებიც ნაწილობრივ არის აღმოფხვრილი ჩვენი მონიტორინგის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად. ამ სამსახურის გამართულმა მუშაობამ უზეუნველყო მძღოლების მიერ პარკირების წესების დარღვევის შემთხვევების შემცირება, აღნიშნული წესების დარვევის დროს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლობის მიერ ხდება სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირება, მღძოლს გადაეცემა შეტყობინება სამართალდარღვევის შესახებ და შეტყობინების ასლი ეგზავნება ზედამხედველობის

სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის. საქმიანობის დაწყებიდან სამართალდარღვევის 56 ფაქტია დაფიქსირებული და ამდენივე შეტყობინებაა გადაგზავნილი.

პარკირების ცენტრის მიერ საქმიანობის დაწყების პირველივე დღეებში გამოიკვეთა უდიდესი პრობლემა, ეს პრობლემაა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი კადრების, კერძოდ ოპერატორების მწვავე დეფიციტი და აქედან გამომდინარეა ის უარყოფითი შედეგები რაც თან ახლავს ჩვენს საქმიანობას, კლერძოდ ოპერატორების მიერ პარკირების ქვითრების გარეშე მუშაობა. 2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად არის შემცირებული. ამ კუთხით არსებობს ხარვეზები განსაკუთრებით უამინდობის დროს, რაზეც ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს რეაგირება.

როგორც მოგეხსენებათ ავტოტრანსპორტის პარკირებისას გამოიყენება სპეციალური პარკირების ქვითრები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება პარკირების პროცესისა და ოპერატორთა საქმიანობის კონტროლი. აღნიშნული ქვითრების გაყიდვა ხდება გურიის ქუჩაზე და თაყაიშვილის ქუჩის დასაწყისში განთავსებულ საგაზეთო ჯიხურებში.

2019 წელს ა(ა.)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიების შედეგად სრულად იქნა აღმოფხვრილი საპარკინგე ადგილებზე (მირითადად აგრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე) ავტოტრანსპორტიდან ვაჭრობა.

დაგეგმილი გვაქვს მიმდინარე წელს საპარკინგე ადგილების აღჭურვა პარკირების ელექტრონული მოწყობილობებით.

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

პარკირების მართვის ცენტრის დირექტორი:

 ა. გოგიტაური

